ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 35/შ032

სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის ხელშეწყობის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების მომსახურების შესყიდვის თაობაზე

ქ. თბილისი 19 მარტი 2012 წელი

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში: „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნატო ავალიანის სახით და მეორეს მხრივ, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი–საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში: ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი სააგენტოს გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის გიორგი ბოკუჩავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის, 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, „ქონების განკარგვის ხელშეწყობის მიზნით, ინტერნეტმომსახურების (ინტერნეტაუქციონი, ინტერნეტმაღაზია) სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 დეკემბრის №2432 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“** (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. **„ხელშეკრულების ღირებულება“** – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. **„დღე“, „კვირა“, „თვე“** – კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.
1.4. **„შემსყიდველი“** – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. **„მიმწოდებელი“** – ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. **„მომსახურება“** – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7. **,,სახელმწიფო ქონების განკარგვის ხელშეწყობა“** – ,,სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შემსყიდველის განაცხადის განთავსება ვებ–გვერდზე **www.eauction.ge**.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ხელშეკრულების საგანია ,,სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანების შესაბამისად, სახელმწიფო ქონების განკარგვისას, წინამდებარე ხელშეკრულების დანართ #1 მოცემული სახელმწიფო ქონების სარგებლობაში

(იჯარა) გადაცემის ხელშეწყობა, ვებ–გვერდზე www.eauction.ge სარგებლობაში გადასაცემი ქონების განთავსებისა და ელექტრონული აუქციონის პროცედურების წარმართვის მეშვეობით (CPV-79342410).

2.2. გასაწევ მომსახურებას წარმოადგენს:

2.2.1 ,,სახელმწიფო ქონების შესახებ", კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით შედგენილი განაცხადის განთავსება და ელექტრონული აუქციონის პროცედურების წარმართვა ვებ–გვერდზე www.eauction.ge. წინამდებარე ხელშეკრულების დანართში #1 მითითებული პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა შესაძლებელია შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებოლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს.

5. მომსახურების გაწევის წესი და ადგილი

5.1. შემსყიდველი, სახელმწიფო ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის მიზნით, მიმწოდებლის მიერ დადგენილი ფორმით შედგენილ წერილობით განაცხადს წარუდგენს მიმწოდებელს სარგებლობაში გადასაცემი ქონებისა და გასაწევი მომსახურების მოცულობის თაობაზე.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

6.1.1. გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე–2 მუხლში მითითებული მომსახურება.

6.1.2 მისცეს საშუალება ელექტრონული აუქციონის მონაწილეს თანხა გადაიხადოს ელექტრონულად და გააქტიუროს, სისტემაში - www.eauction.ge.

6.1.3 აწარმოოს ელექტრონული აუქციონის პერიოდული მონიტორინგი;

6.1.4 განახორციელოს სისტემის მომხმარებელთა რეგიტრაცია და გაუწიოს მათ სატელეფონო კონსულტაცია ელექტრონული აუქციონის პროცედურებთან დაკავშირებით.

6.1.5 უზრუნველყოს სისტემის მუშაობის პროცესში წარმოქმნილი შესაძლო ტექნიკური ხარვეზების ოპერატიული გამოსწორება და სისტემის ფუნქციონალის მორგება შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1 სახელმწიფო ქონების განკარგვის (სარგებლობაში გადაცემის) პროცედურების განხორციელების უზრუნველსაყოფად, დაიცვას ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.

6.2.2 მიაწოდოს მიმწოდებელს სწორი და სრულყოფილი ინფორმაცია განსაკარგი ქონების შესახებ.

6.2.3 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაასხვისოს ქონება ან აღნიშნულის შესახებ გონივრულ ვადაში შეატყობინოს სააგენტოს.

6.2.4 აუქციონის მიმდინარეობის პერიოდში არ მოითხოვოს აუქციონის ძირითადი პირობების (ბიჯი, საწყისი სარგებლობის საფასური და სხვა) შეცვლა.

6.2.5. აუქციონის გამოცხადების შემდეგ, გააკონტროლოს მისი მიმდინარეობის პროცესი, ასევე ლოტის აღწერილობა, ფოტოსურათები და სხვა რეკვიზიტები.

6.2.6 აანაზღაუროს მომსახურების შესაბამისი ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, მომსახურების ან მისი ნაწილის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.
7.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
8.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს ს.ს.ი.პ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინსპექტირების ჯგუფი.
8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, მიმწოდებლის ბრალის შემთხვევაში, ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულების საგნის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რაც დასტურდება მხარეების უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით.
9.2 შემსყიდველის მხრიდან 9.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირად წარმოდგენილია ს.ს.ი.პ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი კონსტანტინე ოჩიგავა.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და გონივრული დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.
10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ იმ შემთხვევებში, თუ:
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;
ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მომსახურება ხორციელდება ეტაპობრივად და უკვე გაწეული მომსახურებების თანხის გადაუხდელობისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებ-ულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება; კიბერშეტევა, ელექტრონული დივერსია და სხვ.).
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
13.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
13.4. ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავების გადაჭრის წესი

14.1 ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შემლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.
14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საერთო სასამართლოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. დასკვნითი დებულებები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს).
15.2 ხელშეკრულების დანართი (არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი:</u>

ს.ს.ი.პ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი, მ. ასათიანის №9
ს/კ 211324351
ბანკი სს თი ბი სი ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/№ GE64TB0600000000345017

გენერალური დირექტორი ნატო ავალიანი

<u>მიმწოდებელი:</u>

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №4
სკ 205081249, სს „ლიბერთი ბანკი“,
ბანკის კოდი LBRTGE22,
ანგარიშის № GE54LB0121192433146000

გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე
გიორგი ბოკუჩავა

ანართი N1

განაცხადი

სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის ხელშეწყობის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე

ქონების სარგებლობაში გადამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	211324351
2	მისამართი/ტელეფონი	ს.ს.ი.პ ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ქ. თბილისი, ასათიანის ქ. #9 39 75 52 39 59 04
3	ელ–ფოსტა	ncdc@ncdc.ge
4	სარგებლობაში გადასაცემი ქონების ტიპი	უძრავი
5	სარგებლობაში გადაცემის პირობები (არსებობის შემთხვევაში)	მოიჯარემ თვითონ უნდა მოახდინოს დენის, წყლის მრიცხველების გამხოლოება და სხვა კომუნიკაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6	სარგებლობაში გადასაცემი ქონების დასახელება	ს.ს.ი.პ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კუთვნილი, ადმინისტრაციული კორპუსის დამხმარე ნაგებობა 50 კვ.მ ფართი,
7	ნივთის რაოდენობა	ერთი ოთახი -50 კვ.მ ფართი
8	სარგებლობაში გადასაცემი ქონების ადგილმდებარეობა	ს.ს.ი.პ ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ქ. თბილისი, ასათიანის ქ. #9
9	სარგებლობაში გადასაცემი ქონების საწყისი სარგებლობის საფასური	250(ორას ორმოცდაათი)ლარი-ერთი თვის ღირებულება.

		3000 (სამიათასი) ლარი- წლიური ღირებულება
10	ბიჯის სიდიდე	150 (ასორმოცდაათი) ლარი
11	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა	300(სამასი) ლარი
12	ფოტო სურათების რაოდენობა	4
13	სრული ინფორმაცია ქონების შესახებ	ს.ს.ი.პ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კუთვნილი, ადმინისტრაციული კორპუსის დამხმარე ნაგებობა 50 კვ.მ ფართი, შენობის გვერდითა შესასვლელიდან, პირველ სართულზე მდებარე დამხმარე სათავსო , კეთილმოუწყობელი, სარემონტო.
14	განთავსების ხანგრძლივობა (აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი)	დასაწყისი: 19.03.2012 წელი 12:00 სთ დასარული: . 03. 04. 2012 წელი 15:00 სთ
15	სარგებლობაში გადაცემის ვადა	1წელი
16	საბანკო რეკვიზიტები	ბანკი : სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222; ანგარიშის ნომერი 200122900; დანიშნულება: საპრივატიზებო შემოსულობისთვის საბიუჯეტო კოდი 302006300; დამატებითი ინფორმაცია: 6307;
17	დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც სარგებლობაში გადამცემი ორგანო თვლის მიზანშეწონილად	1)დროებით მოცემული ფართის იჯარით გდაცემამდე (რაც სჩანს ფოტოსურათზე) მასში განთავსებულია სდხვადასხვა დანდგარები, რომლებიც ფართთან ერთად არ ქირავდება. 2)ვაჭრობა დაიწყოს წლიური ღირებულებიდან.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

/ნატო ავალიანი/

გენერალური დირექტორი